



ვამტკიცებ

შპს ორიენტორის 2017 წლის 24 იანვარი

№ 01/4 ბრძანებით

დირექტორი: რამაზ მაჭარაშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

შპს ორიენტორი



კბილის ტექნიკოსი

090251 (IV საფეხური)

თბილისი 2016

- I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი
- II. პროფესიული განათლების საფეხური: IV საფეხური
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (750 საათი), აქედან (60%) - 18 კრედიტი (450 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 12 კრედიტი (300 საათი) - პრაქტიკას.
- პრაქტიკისა და თეორიული კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.
  - ერთი კრედიტი არის 25 ასტრონომიული საათი;
  - კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე საფეხურის დასრულების შემდეგ გაცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.
  -
- V. პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა
- VI. სწავლების ენა: ქართული
- VII. პროგრამაზე მიღების წინაპირობა: მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- VIII. სფეროს აღწერა - კბილის ტექნიკოსის საქმიანობა განეკუთვნება ჯანმრთელობისა და ესთეტიკის სფეროს. პროფესია ორიენტირებულია პიროვნებაზე, მის საჭიროებებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე, აგრეთვე ექიმ სტომატოლოგთან კოორდინირებულ ქმედებაზე და მოიცავს: ექიმი სტომატოლოგის შეკვეთის ზუსტად შესრულებას; შესრულებული

კონსტრუქციების ხარისხის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში - დახვეწას; ძერწვას, მოდელირებასა და პროთეზირებას.

**IX. პროფესიული პროგრამის მიზანი** – კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული განათლების მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ორთოდონტია და ბავშვთა ასაკის პროთეზირება; კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა; მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი; მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი; მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები; მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები; ბიოეთიკა და სხვა.

**X. სწავლის შედეგი**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, დაზიანებები, დეფორმაციები; შეუძლია მოდელზე მათი ამოცნობა და ორთოდონტიული აპარატის შერჩევა მოქმედების პრინციპის მიხედვით.</p> <p>იცის ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გემის შედგენა თანამედროვე უახლესი მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით.</p> <p>იცის მოსახსნელი ორთოპედიული ბიუგელისებური პროთეზების დამზადების ტექნიკა.</p> <p>იცის მოსახსნელი ორთოპედიული ფირფიტოვანი პროთეზების დამზადების ტექნიკა.</p> <p>იცის მოუხსნელი პროთეზების დამზადება.</p> <p>იცის კბილის გვირგვინებისა და კბილთა მწკრივის დეფექტების წარმოქმნის მიზეზები, კლინიკა და შეუძლია მისი აღდგენა მეტალოპლასტმასის კონსტრუქციით. იცის სხვადასხვა სახის მოსაპირკეთებელი პლასტმასის გამოყენების ტექნოლოგია.</p>
-------------------------------------	--	--

<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია კბილის გვირგვინების და კბილთა მწკრივის დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციებით, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა.</p> <p>შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება; დაუფლებულია პერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას.</p> <p>შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება. ფლობს ფაიფურსა და პლატმასებზე მუშაობის მეთოდებს; შეუძლია ნებისმიერი პროცედურისთვის შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.</p> <p>შეუძლია მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგების გასაუმჯობესებლად.</p> <p>სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიების და დეფორმაციების ამოცნობა მოდელეზზე და რეაბილიტაციის საკითხების დაგეგმვა.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიის შერჩევა, გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და საბოლოო შედეგის ანალიზი.</p> <p>შეუძლია დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაეცნოს უახლესი მასალების გამოყენების მეთოდებს და მიღებული დასკვნა დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს.</p>
<p><b>კომუნიკაციის</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია</p>	<p>შეუძლია ინგლისურ ენაზე მოიძიოს და დაამუშაოს საჭირო</p>

<b>უნარი</b>	პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	ინფორმაცია. ათვისებული აქვს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შეუძლია მათი გამოყენება პრაქტიკაში. შეუძლია კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	შეუძლია შესაბამის სფეროში სიახლეების დამოუკიდებლად მოძიება და საკუთარი ცოდნის განახლების საშუალებების დაგეგმვა; შეუძლია სწავლის შემდგომი საფეხურისათვის მომზადება.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცის პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე დარგის ეთიკური საფუძვლები. ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად. შეუძლია ცვალებად სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტა კოლეგებისა და პაციენტების სასარგებლოდ.

XI. სწავლის შედეგების რუქა

#	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები	სწავლის შედეგები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	DT04-01	ინგლისური ენა				X		
2	DT04-02	საინფორმაციო ტექნოლოგიები				X		
3	DT04-03	ორთოდონტიული აპარატების კლასიფიკაცია და მოქმედების პრინციპები	X					
4	DT04-04	კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა	X					
5	DT04-05	მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი	X					
6	DT04-06	მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი	X					
7	DT04-07	მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები	X					
8	DT04-08	მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები	X					
9	DT04-09	ბიოეთიკა						X
10	DT04-10	პრაქტიკა (სასწავლო)		X	X	X	X	X
11	DT04-11	პრაქტიკა (საწარმოო)		X	X	X	X	X

**XII. სასწავლო გეგმა**

სასწავლო კურსები												
#	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსები/მოდულები/საგნები	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება								სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები							დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	
				ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განუთვნილი დრო	დაკვეთი გამოცდის ჩასაბარებლად განუთვნილი დრო	სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა		
1	DT04-01	ინგლისური ენა	2	13	15	-	-	2	3	33	17	50
2	DT04-02	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	10	13	-	-	2	3	28	22	50
3	DT04-03	ორთოდონტიული აპარატების კლასიფიკაცია და მოქმედების პრინციპები	2	14	10	-	-	2	3	29	21	50
4	DT04-04	კბილის მასალათმცოდნეობა სატექნიკო	2	12	12	-	-	2	3	29	21	50
5	DT04-05	მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი	2	12	12	-	-	2	3	29	21	50
6	DT04-06	მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი	2	12	12	-	-	2	3	29	21	50
7	DT04-07	მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები	2	12	12	-	-	2	3	29	21	50
8	DT04-08	მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები	2	12	12	-	-	2	3	29	21	50

9	DT04-09	ბიოეთიკა	2	10	16	-	-	1	2	29	21	50
10	DT04-10	პრაქტიკა (სასწავლო)	8	-	-	188	-	4	8	200	-	200
11	DT04-11	პრაქტიკა (საწარმოო)	4	-	-	-	88	4	8	100	-	100
		<b>სულ</b>	<b>30</b>	<b>107</b>	<b>114</b>	<b>188</b>	<b>88</b>	<b>25</b>	<b>42</b>	<b>564</b>	<b>186</b>	<b>750</b>

XIII. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა



სასწავლო კურსები	კვირა/საათი																			
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ინგლისური ენა									10	10	10	10	10							
საინფორმაციო ტექნოლოგიები									10	10	10	10	10							
ბიოეთიკა									10	10	10	10	10							
ორთოდონტიული აპარატების კლასიფიკაცია და მოქმედების პრინციპი	40	10																		
კბილის მასალათმცოდნეობა		30	20																	
მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები								30	20											
მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი						40	10													
მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი			20	30																
მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები				10	40															
პრაქტიკა (სასწავლო)									10	10	10	10	10	40	40	40	30			
პრაქტიკა (საწარმო)																		40	40	20
კვირეული დატვირთვა	40	40	40	40	40	40	40	20	40	40	40	40	40	40	40	40	30	40	40	20

**XIV. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) მომზადება/ჩაბარებას.

**XV. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;
- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

- **(B)** ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(C)** კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- **(FX)** ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს მიმდინარე შეფასებებს და შუალედურ გამოცდას პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას.

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (**FX**) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

## XVI. სწავლის მეთოდები

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები** - წინამდებარე პროგრამის ფაგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოკითხვა, დისკუსია, განხილვა, როლური თამაში, ძერწვა, ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამისი სილაბუსში.

**XVII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა	ეთერ კუპრეიშვილი	საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი
საინფორმაციო ტექნოლოგიები	ეკა როჭიკაშვილი	საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი; ინჟინერის სტემო ტექნიკოსი
ორთოდონტიული აპარატების კლასიფიკაცია და მოქმედების პრინციპები	თამარ შალამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა	თამარ ბერიშვილი	ექიმ -სტომატოლოგი
მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი	თამარ შალამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი	თამარ შალამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები	ლილი ფხიკიძე	ექიმ -სტომატოლოგი
მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები	თამარ შალამბერიძე	ექიმ -სტომატოლოგი
ბიოეთიკა	ციური ცერცვაძე	ფსიქოლოგი
პრაქტიკა (სასწავლო)	შოთა ბოკუჩავა	ორთოპედიული სტომატოლოგია
პრაქტიკა (საწარმოო)	ლილი ფხიკიძე	ექიმი-სტომატოლოგი

**XVIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

წინამდებარე პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შპს ორიენტირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული:

- კეთილმოწყობილი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სააუდიტორიო ფონდი, თვალსაჩინო მასალები;
- ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსების) შესაბამისი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა(წიგნადი, ელექტრონული) სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, პროფესიული და რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულებებზე ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. .

- ზემოთ აღნიშნული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოწყობილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

- შპს ორიენტის გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“-სთან ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს გამართვაზე (ხელშეკრულება დაიდო 06.02.2012წ.-ში).

• ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია:

- კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი;
- ბიბლიოთეკა;

• პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე:

1. სტომატოლოგიური კლინიკა „დენტა“.
2. შპს „32 დენტი“

**XIX. დასაქმების სფეროები** – კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია სწავლა გააგრძელოს კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურზე.

**XX. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:**

სახელი, გვარი - თამარ შალამბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 5 77 49 25 19

ელ-ფოსტა: ta.shalamberidze@mail.ru

**XXI.სილაბუსები**

## ს ა რ ზ ე ვ ი

I პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება.....	2
II პროფესიული განათლების საფეხური.....	2
III მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....	2
IV პროგრამის მოცულობა.....	2
V პროგრამის ხანგრძლივობა.....	2
VI სწავლების ენა.....	2
VII პროგრამაზე მიღების წინაპირობა.....	2
VIII სფეროს აღწერა.....	2
IX პროფესიული პროგრამის მიზანი.....	3
X სწავლის შედეგი.....	3
XI სწავლის შედეგების რუქა.....	6
XII სასწავლო გეგმა.....	7
XIII პროგრამის განხორციელების სპეციფიკა.....	8
XIV პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა).....	9
XV პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება.....	9
XVI სწავლის მეთოდები.....	10
XVII ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.....	11
XVIII ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.....	11
XIX დასაქმების სფერო.....	12
XX ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.....	12
XXI სილაბუსები.....	12